

საქართველოს შსს სსიპ
დაცვის პოლიციის დეპარტამენტი



საკონკურსო განცხადება

(CPV – 71200000 არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი
2015 წელი

1. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (მის: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ ს/კ 211350928) აცხადებს კონკურსს საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია: საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს გარდაზნის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (მისამართი: ქ. გარდაზანი, დ. აღმაშენებლის მესამე შესახვევი, #2, მიმდებარედ).

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 8000 (რვა ათასი) ლარს (დ.დ.გ. ჩათვლით).

4. დაფინანსების წყარო: სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი სახსრები.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე.

6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

6.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>)

6.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, 6.2 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა

დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება, ესკიზური პროექტი და გენგეგმა უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. მე-4 სართული, ოთახი 428. წინადადების წარდგენა შესაძლებელია 2015 წლის 1 აპრილის 10.00 სთ-დან 2015 წლის 1 აპრილის 15.00 სთ-მდე. საკონკურსო წინადადება თანდართული დოკუმენტაციით წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტით. მონაწილეები არ დაესწრებიან კონკურსის გახილვას.

*საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს გარდაზნის განყოფილების ადმინისტრაციული შენობა
(მისამართი: ქ. გარდაზანი, დ. აღმაშენებლის მესამე შესახვევი, #2, მიმდებარედ)*

ტექნიკური დავალება:

- ტერიტორია 601მ²;
- შენობის ზომები რენდერის შესაბამისად;
- შენობის საერთო სავარაუდო ფართი 270 მ²

შენობა უნდა იყოს 1 სართულიანი. შენობის შიდა დაგეგმარება:

- 39მ²- ოთახი განყოფილების უფროსისათვის (სამუშაო ოთახი 22- მ² მოსასვენებელი -12-მ²; სანიტარული კვანძი საშხაპეთი -5 მ²) ;
- 39მ² -ოთახი განყოფილების უფროსისათვის (სამუშაო ოთახი 22- მ² მოსასვენებელი -12-მ²; სანიტარული კვანძისაშხაპეთი -5 მ²);
- 18მ²-სამუშაო ოთახი;
- 24მ² -სამორიგეო (სამუშაო ოთახი 8- მ² მოსასვენებელი -12-მ²; სანიტარული კვანძი საშხაპეთი -4 მ²);
- 32მ² დაკავების ჯგუფი, სათადარიგო გასასვლელით (სამუშაო ოთახი -16- მ² მოსასვენებელი - 12მ²; სანიტარული კვანძი საშხაპეთი-4 მ²);
- -საიარაღო- 5მ²;
- 1- საიარაღოს წინამდებარე ოთახი -4მ²;
- 1-სათათბირო ოთახი-30მ²;
- 1-ოთახი საწყობისთვის -8მ²;
- 1-სამზარეულო- 8მ²;
- 1-საკუჭნაო- 4მ²;
- 1-საერთო სანიტარული კვანძი ორ განყოფილებიანი - 12მ² ;
- 1-დერეფანი
- 2- ოთახი მოადგილის-16მ²;
- 1-ოთახი ოფიცრების-16მ².

შენობა უნდა შეესაბამებოდეს ქ. გარდაზანის არქიტექტურას;

12. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა იყოს დალუქულ მდგომარეობაში, ერთ ეგზემპლარად და უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- ინფორმაციას მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;
- რეკვიზიტები, დანართი N 1-ის შესაბამისად.
- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს დათვალისწინებით, ეროვნულ ვალუტაში).
- გასაწევი მომსახურების განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება;
- გენერალური გეგმა (შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობით);
- შენობის გეგმა;
- შენობის ყველა ფასადი მ 1:100;
- მაღალი ხარისხის რენდერები (ვიზუალიზაცია) (მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით);
- შენობის და ტერიტორიის დიზაინერული გადაწყვეტა;

- ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ანალოგიური არქიტექტურული, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილების შესახებ (შესაბამისი ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარებების ქსერო ასლები)

შენიშვნა: ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. მე-12 პუნქტში მითითებული საპროექტო დოკუმენტაცია უნდა იყოს ოთხი ეგზემპლარი ნაბეჭდი A3 ფორმატში, ხოლო ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი PDF ფორმატში (ერთი ფაილის მოცულობა არაუმეტეს 7 მგბ).

13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

14. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება 8000 (რვა ათასი) ლარს არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით:

შეფასება განხორციელდება **10 ქულიანი** სისტემით, ხოლო შეფასების კოეფიციენტებია:

- შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, კომპაქტურად და ზონალურად სწორი შიდა დაგეგმარება, პრაქტიკული გამოყენებისა და ორიგინალური იდეის თვალსაზრისით - **0.4**

- საკონკურსო წინადადების ფასი - **0.4**

- კონკურსანტის გამოცდილება - **0.2**

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 20 დღეში სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის პაკეტის წარმოდგენა:

16.1. არქიტექტურული ნაწილი;

ა) არქიტექტურული პროექტი (ინტერიერი და ექსტერიერი);

ბ) მუშა პროექტი;

16.2. კონსტრუქციული ნაწილი

ა) შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობა ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი მ 1:500 (ტერიტორიის ფართი)

16.3. საინჟინრო ნაწილი ;

ა) ელექტრომომარაგების პროექტი (შიდა ელექტრომომარაგება, განათება);

ბ) შიდა წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტი;

გ) გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონირება;

16.4. შენობის მაქსიმალური დაცვა სტიქიური უბედურებებისაგან;

16.5. შენობაში გათვალისწინებული უნდა იყოს მეხამრიდი, რომლის დამიწება იქნება შენობისგან მოშორებით;

16.6. სუსტი დენები;

16.7. ყველა ოთახში გათვალისწინებული უნდა იყოს ორ საპირისპირო კედელზე ორი ელ-როზეტი, ერთი სუსტი დენის კაბელი ტელევიზორისთვის და ერთი კომპიუტერისთვის;

16.8. შენობაში უნდა იყოს გათვალისწინებული რეკი (საკომუნიკაციო კარადა);

16.9. სახურავიდან რეკამდე უნდა გატარდეს ეკრანიერებული კაბელი;

16.10. გარე და შიდა პერიმეტრი მთლიანად უნდა კონტროლდებოდეს სათვალთვალო კამერებით (8 ცალი)

16.11. რადიოკავშირის ქსელი - ოთხი წერტილი;

16.12. შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;

16.13. შიდა ინტერიერი (გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალების დახასიათება);

16.14. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (კალენდარული გრაფიკი);

16.15. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, მოცულობათა უწყისი);

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

18. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად (A3 ფორმატი), თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის AutoCAD პროგრამაში და პროექტის შემადგენელი თითოეული დოკუმენტი PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 მგბ-ს.

19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

20. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ საკონტაქტო პირებისგან: **დავით სიგუა** ტელ: 577 609 777; **ილონა შერვაშიძე** ტელ: 577 09 20 77.

შენიშვნა:

გამარჯვებულმა კომპურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (6 თვის განმავლობაში), (დამატებითი ანაზღაურების გარეშე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტიურობის დადასტურება)

დანართი №1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის იურიდიული ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ოფისის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი

----- 2015 წელი

ერთი მხრივ საქართველოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარე გურამ ტომარაძის სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ----- შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
- 3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2015 წლის საკუთარი სახსრებით.

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. გაწეული მომსახურების მიღებას ახორციელებს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების გამს ინსპექტორი (შემსყიდველის გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე).
- 4.2. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მომსახურების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
- 4.3. წუნის, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება მისი სრული აღმოფხვრის შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა.

- 5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
- 5.2. დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
- 6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

6.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (6 თვის განმავლობაში) (დამატებითი ანაზღაურების გარეშე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტიფიკაციის დადასტურება)

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემდეგ მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე 2015 წლის -

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება/ან შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებებისგან.

12. სხვა პირობები

- 12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივან მე-11 კმ ს/კ 211350928 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში თავმჯდომარე _____ (ხელმოწერა, ბეჭედი)	
--	--